სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ფილოლოგია** Philology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**ფილოლოგიის დოქტორი** PhD in Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სადოქტორო პროგრამა არის სამწლიანი, სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 ECTS კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროგრამას კოორდინირებას უწევს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური სამსახურის უფროსი ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი პროგრამა ხორციელდება ფაკულტეტის 9 პროფილური სასწავლო სამეცნიერო-ინსტიტუტის, მათში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და 1 დამოუკიდებელი ცენტრის მიერ, ესენია: • **თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი; • **თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი; • **თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი; • **ქართული ენის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** (ახალი ქართული ენის, ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრები); • **ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ფოლკლორისტიკის კათედრები); • **დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი (ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის, რომანული ფილოლოგიის, თარგმანმცოდნეობის კათედრები), • **სკანდინავისტიკის** ცენტრი; • **აღმოსავლეთმცოდნეობის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი; • **კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი (კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის, ნეოგრეცისტიკის კათედრები); • **კავკასიოლოგიის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი; • **სლავისტიკის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[1]	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერებების ფართო სფეროს **0231 ენის დაუფლების,** **0232 ლიტერატურისა და ლინგვისტიკის,** **0239 ენები-არაკლასიფიცირებული** დეტალური სფეროების ფარგლებში არსებულ კვალიფიკაციებში. • ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე თსუ უცხოური ენების ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით (იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/ გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნის დადასტურება). ამასთან, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1 დონეზე გამოცდით ან საერთაშორისო სერტიფიკატით; • სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა და კვლევის ბაზად შერჩეული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის/კათედრისა თუ კვლევითი ცენტრის და/ან სადოქტორო პროგრამის კოორდინატორის რეკომენდაცია. • კვლევითი უნარების შეფასების მიზნით, კანდიდატს მოეთხოვება ფილოლოგიის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება (იხ. პროგრამის დასაქმების სფეროები); • დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღებ კომისიას წერილობითი სახით წარუდგენს სადოქტორო კვლევის თეზისს/პროექტს. • კომისიის მიერ კვლევის თეზისის/პროექტის დადებითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტი გადის გასაუბრებას სპეციალობაში. • სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება გასაუბრებასა და სადოქტორო კვლევის თეზისის/პროექტის შეფასებისას მიღებული ქულების მიხედვით მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაციის საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

[1]პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

	დოქტორანტურაში მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება თსუ-ს ვებგვერდზე www.tsu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	*ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე და წამყვანი საერთაშორისო ჰუმანიტარული კვლევითი ცენტრების გამოცდილების გაზიარებით, მოამზადოს თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი სტანდარტების შესატყვისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მქონე მკვლევარი ფილოლოგი ფილოლოგიის აქტუალური სამეცნიერო პრობლემების გადასაჭრელად და ამით ხელი შეუწყოს საქართველოში ფილოლოგიის სხვადასხვა სფეროში ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნასა და ამ მიმართულებით შესრულებულ კვლევათა ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში; როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა აკადემიური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.* კერძოდ, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურაში არსებული შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების ჩართულობით, აგრეთვე საუნივერსიტეტო კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და რესურსების გამოყენებით, მიზნად ისახავს, • დოქტორანტს სიღრმისეულად შეასწავლოს ფილოლოგიის დარგისა და კვლევისთვის შერჩეული ფილოლოგიური სფეროს ფუნდამენტურ ცოდნაზე დაფუძნებული კვლევის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდები. • განუვითაროს მას არჩეულ ფილოლოგიურ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის, აგრეთვე შესაბამისი კვლევითი მეთოდებით დამოუკიდებელი თუ კოლექტიური სამეცნიერო გამოკვლევის შესრულების უნარი. • ხელი შეუწყოს დოქტორანტს საკუთარი კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო აკადემიურ წრეებში ინტეგრირებაში; • გამოუმუშაოს მას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები; • განუვითაროს მაღალი მეცნიერული ღირებულებები, შესძინოს კვლევის პროცესში პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის ვალდებულება და უახლესი სამეცნიერო ცოდნის გაცვლა-გავრცელების პასუხისმგებლობა, რაც უნივერსიტეტის ე.წ. მესამე

	მისიას წარმოადგენს.
სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• ფილოლოგიის დოქტორი სიღრმისეულად და არგუმენტირებულად აღწერს, განიხილავს და იყენებს დარგისა და საკვლევი სფეროს თეორიულ და კვლევით მეთოდებს; • იდენტიფიცირებას ახდენს და კრიტიკულად აანალიზებს ფილოლოგიის დარგისა და საკვლევი სფეროს განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, ძირითად და უახლეს კონცეფციებს, უმნიშვნელოვანეს თეორიებს, დარგის ინტერდისციპლინურ ასპექტებს. • არჩეული კვლევის სფეროს შესაბამისად ოპერირებს ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით, დარგის მეტაენით და სამეცნიერო ბიბლიოგრაფიით.
ბ) უნარები	• მის მიერ არჩეულ საკვლევ სფეროში მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე ფილოლოგიის დოქტორი კვლევას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვით; კრიტიკულად გადააფასებს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეულ ნაწილს, პოულობს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზებს, შეიმუშავებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს; • ფილოლოგიის დოქტორი ქმნის საკვლევ სფეროში აკადემიური ფორმით არგუმენტირებულ, მეცნიერული ღირებულების მქონე, სამეცნიერო სიახლის, მიგნების შემცველ ტექსტებს/პუბლიკაციებს და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აფორმებს მათ; • ახდენს კვლევის გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზებას. ფლობს და იყენებს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპებს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო ასპექტებს პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის საპროექტო წინადადებების მიმზიდველი ფორმით მისაწოდებლად. • აანალიზებს და აფასებს სამეცნიერო კვლევებს და სათანადოდ წარმოაჩენს კვლევის შედეგებს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან, სხვადასხვა ფორმით წარმართავს სამეცნიერო დიალოგს საერთაშორისო აკადემიურ წრეებთან (სამეცნიერო ფორუმები), • ფილოლოგიის დოქტორი ახდენს რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას; იღებს სწორ, სტრატეგიულ და ეფექტურ გადაწყვეტილებას კვლევისას. სიღრმისეულად ხედავს როგორც მთელს, ისე მის ნაწილებს, მათ ურთიერთკავშირებსა და ერთიანობას; წარმატებულად თანამშრომლობს მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან დარგის

	ინტერდისციპლინური ასპექტების აქტუალიზებით; • პრაქტიკულად იყენებს სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს, სწავლების ინტერაქტიურ მეთოდებს; სასწავლო პროცესში ნერგავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარ პრინციპებსა და კომპონენტებს; კვლევისა და სწავლების ინოვაციურ მეთოდოლოგიას.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ფილოლოგიის დოქტორი პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგებს; არა მხოლოდ იძენს და აგროვებს ცოდნას, არამედ სხვებსაც გადასცემს მას; საზოგადოებაში ავრცელებს და პოპულარიზებას უწევს ჰუმანიტარულ, კერძოდ, ფილოლოგიურ კვლევათა მიღწევებს. • სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში შეუძლია განსხვავებული აზრისა და ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მიღება; პროფესიული ამოცანების გადაჭრის მიზნით ადეკვატურად იყენებს საკომუნიკაციო სტრატეგიებსა და ტაქტიკას; კვლევის პროცესში განუხრელად იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. • აქვს კრეატიული აზროვნება და ახდენს ახალი იდეების გენერირებას; აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას, შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს სამეცნიერო პროფილი და მოახერხოს ახალ გარემოებებთან ადაპტირება.
სწავლება-სწავლის მეთოდები	პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სადოქტორო სემინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, კონფერენციებში მონაწილეობის, საგრანტო პროექტებში ჩართულობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისა და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს დოქტორანტთა სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი); დემონსტრირების მეთოდი; ევრისტიკული მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში; ელექტრონული სწავლების მეთოდები და სხვ. სასწავლო კურსების სალექციო და სასემინარო შეხვედრები ძირითადად დაეთმობა მსჯელობას / დისკუსიას დამოუკიდებლად ან გუნდურად (პრეზენტაციებით, შერეული და ელექტრონული სწავლების ელემენტებით), დასაშვებია კოლეგიალური შეფასება (Peer Review) და თვითშეფასება, ანალიზი და სინთეზი და სხვა. პრობლემათა გადასაჭრელად და მეცნიერული შედეგების მისაღწევად

	პროგრამაში კომპლექსურად გამოიყენება ლოგიკის შემდეგი ძირითადი მეთოდები და მათზე დაფუძნებული მიდგომები: კლასიფიკაცია და ტიპოლოგიზაცია; ანალიზი და სინთეზი; ინდუქცია და დედუქცია;ანალოგია და შედარება; მტკიცება-დასაბუთება და ინტერპრეტაცია; აგრეთვე, ინტერაქტიური სწავლების მეთოდთაგან ყველაზე გავრცელებული – დისკუსია/დებატები და სხვ.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. დოქტორანტის მიერ სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სემესტრული შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულების რაოდენობიდან დაგროვილი აქვს მინიმუმ 21 ქულა. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, რაშიც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით

	შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომლებიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილი. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებულ ნაშრომზე დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება რეცენზია, ხოლო ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (განმავითარებელი შეფასება). სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. **სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:** დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა. ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა. გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა. დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა. ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა. ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები. „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში

	დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფეროები	• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; • სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები; • სამეცნიერო-კვლევითი ფონდები; • საგანმანათლებლო დაწესებულებები; • მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები; • გამომცემლობები, მასმედია; • არასამთავრობო ორგანიზაციები; • საერთაშორისო ორგანიზაციები, კომპანიები და სხვ.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციისა და ჰუმანიტარი მკვლევრების მომზადების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფინანსური შეღავათები აქვს დაწესებული სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისათვის პროგრამის ხელმძღვანელთა შუამდგომლობის საფუძველზე (შეღავათი არ ვრცელდება დამატებითი სემესტრის დოქტორანტებზე). სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში, ძირითადად, მონაწილეობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების აკადემიური პერსონალი: • **თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: ასოც. პროფ. რუსუდან ასათიანი, ასოც. პროფ. თინათინ ბოლქვაძე, ასოც. პროფ. ივანე ლეჟავა, ასოც. პროფ. მარინე ივანიშვილი, ასოც. პროფ. ზურაბ ბარათაშვილი, • **თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: პროფ. ირმა რატიანი, ასოც. პროფ. გაგა ლომიძე, ასოც. პროფ. სოლომონ ტაბუცაძე, • **თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: პროფ. ნანა გაფრინდაშვილი,

	ასოც.პროფ. ნინო წერეთელი; ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი. • **ქართული ენის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი**: ახალი ქართული ენის კათედრა – პროფ. რამაზ ქურდაძე, ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი, ასოც. პროფ. მაია ლომია, ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე, ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი, ასოც. პროფ. სალომე ომიაძე, ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე, ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი-სუბარი. ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა – პროფ. დარეჯან თვალთვაძე, ასოც. პროფ. ანა ხარანაული, ასოც. პროფ. ლელა ციხელაშვილი. • **ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** : ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა – პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე, ასოც. პროფ. ლელა ხაჩიძე, ასოც. პროფ. ნესტან სულავა, ასოც. პროფ. მაკა ელბაქიძე, ასოც. პროფ. ნანა გონჯილაშვილი. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა – ასოც. პროფ. ლადო მინაშვილი, ასოც. პროფ. თამარ შარაბიძე, ასოც. პროფ. ეკა ვარდოშვილი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა – პროფ. კახაბერ ლორია, ასოც. პროფ. რუსუდან ნიშნიანიძე, ასოც. პროფ. თამარ პაიჭაძე. ფოლკლორისტიკის კათედრა – ასოც. პროფ. ქეთევან სიხარულიძე, ასოც. პროფ. ხვთისო მამისიმედიშვილი, ასოც. პროფ. ელენე გოგიაშვილი. • **დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: ინგლისური ფილოლოგიის კათედრა – პროფ. მანანა რუსიეშვილი, პროფ. მანანა გელაშვილი, ასოც. პროფ. რუსუდან დოლიძე, ასოც. პროფ. ნათელა ნემსაძე, ასოც. პროფ. ნინო დარასელია, ასოც. პროფ. ირინე გველესანი, ასოც. პროფ. დავით მაზიაშვილი, ასოც. პროფ. ირინე დემეტრაძე, გერმანული ფილოლოგიის კათედრა –

	პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე, პროფ. ალექსანდრე კარტოზია, ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე, ასოც. პროფ. მარინა ანდრაზაშვილი, ასოც. პროფ. ნუნუ კაპანაძე, ასოც. პროფ. სოფიო მუჯირი, ასოც. პროფ. კონსტანტინე ბრეგაძე, რომანული ფილოლოგიის კათედრა – პროფ. ბელა ხაბეიშვილი, ასოც. პროფ. ილია გასვიანი, ასოც. პროფ. მარინე კობეშავიძე, ასოც. პროფ. მაია ჯავახიძე, თარგმანმცოდნეობის კათედრა – პროფ. ინესა მერაბიშვილი, • **სკანდინავისტიკის** ცენტრი: პროფ. კახაბერ ლორია. • **აღმოსავლეთმცოდნეობის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: არაბისტიკის კათედრა – პროფ. დარეჯან გარდავაძე, ასოც. პროფ. მაია ანდრონიკაშვილი, ასოც. პროფ. მარიამ ნანობაშვილი, ასოც. პროფ. გიორგი ლობჟანიძე, ასოც. პროფ. ნინო ეჯიბაძე, ასოც. პროფ. ხათუნა თუმანიშვილი, ირანისტიკის კათედრა – ასოც. პროფ. თეა შურღაია, ასოც. პროფ. მარინა ალექსიძე, ასოც. პროფ. მანანა კვაჭაძე, ასოც. პროფ. ფატმან ანთაძე-მალაშხია, ასოც. პროფ. მზია ბურჯანაძე. თურქოლოგიის კათედრა – პროფ. მარიკა ჯიქია, ასოც. პროფ. ელისაბედ ბჟალავა, ასოც. პროფ. ქეთევან ლორთქიფანიძე, ასოც. პროფ. ნანული კაჭარავა, ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრა – ასოც. პროფ. მარიამ ჩაჩიბაია, ასოც. პროფ. მამუკა ბუცხრიკიძე. არმენოლოგიის კათედრა – ასოც. პროფ. ნათია ჩანტლაძე, ასოც. პროფ. დალი ჩიტუნაშვილი. • **კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: კლასიკური ფილოლოგიის კათედრა – პროფ. ნანა ტონია, ასოც. პროფ. ირინე დარჩია, ასოც. პროფ. იამზე გაგუა, ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე,

	ასოც. პროფ. ქეთევან ნადარეიშვილი, ასოც. პროფ. მანანა ფხაკაძე, ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე. ასოც. პროფ. გიორგი უგულავა, ბიზანტინისტიკის კათედრა – პროფ. თინა დოლიძე, პროფ. ლევან ლევან გიგინეიშვილი, ნეოგრეცისტიკის კათედრა – პროფ. სოფიო შამანიდი, ასოც. პროფ. ანი ჩიქოვანი, ასოც. პროფ. მედეა აბულაშვილი. • **კავკასიოლოგიის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: კავკასიური ენების კათედრა – პროფ. მერაბ ჩუხუა, პროფ. ცირა ბარამიძე, ასოც. პროფ. ნანა მაჭავარიანი, ასოც. პროფ. რევაზ აბაშია. • **სლავისტიკის** სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: რუსული ენის კათედრა – ასოც. პროფ. მარინე ალექსიძე, ასოც. პროფ. ნატალია ბასილაია. რუსული ლიტერატურის კათედრა – პროფ. მარიამ ფილინა, ასოც. პროფ. მაია თუხარელი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან თსუ-ს პროფილური დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების (არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის) სამეცნიერო პერსონალი და თსუ-ს ემერიტუსი პროფესორები. **პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით:** • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები და კომპიუტერული ცენტრები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს მ. ალექსიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3-ში; საბიბლიოთეკო დარბაზები და წიგნსაცავები: შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი, რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, თსუ I კორპუსი; გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი, რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N13-ში, თსუ VIII კორპუსი; აღმოსავლეთმცოდნეობის სამკითხველო დარბაზი, რომელიც მდებარეობს ი.

	ჭავჭავაძის გამზირი N36-ში, თსუ V კორპუსი https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვ.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ და გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამული ხარჯები. ფაკულტეტის ბიუჯეტი ფარავს სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისათვის პროგრამის ხელმძღვანელთა შუამდგომლობის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულ ფინანსურ შეღავათებს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტთა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობის მხარდაჭერას.
დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა	• სასწავლო კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტების სრულად ათვისება (40 კრედიტი); *თუ დოქტორანტს საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ესაჭიროება კონკრეტული დარგობრივი ცოდნის გაღრმავება, მას უფლება აქვს თავისუფალ მსმენელად დაესწროს და მოისმინოს სწავლების ქვედა საფეხურზე სასპეციალიზაციო სასწავლო კურს(ებ)ი (კურიკულუმგარე აქტივობა).* • სავალდებულო 2 სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულება და საჯარო დაცვა; • დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან

	საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად. კვლევითი პროგრამული კომპონენტის მიმართ მოთხოვნები და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელი პროცედურები იხ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში, რომელიც ემყარება საუნივერსიტეტო სადოქტორო სტანდარტს.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. დოქტორანტმა: • უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის მოსაზრება და/ან სიტყვები; • არ უნდა გააყალბოს მონაცემები ან სხვა ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების იმ პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო ან სამეცნიერო კომპონენტში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია, საკუთარი ნაშრომი ატვირთოს პლაგიატის დეტექციის პროგრამაში.
დამატებითი ინფორმაცია	სადოქტორო პროგრამას შესაძლებლობა აქვს ყოველწლიურად მიიღოს არაუმეტეს 45 დოქტორანტისა. პროგრამის ფარგლებში დოქტორანტთა საკვალიფიკაციო ნაშრომების თემატიკის შერჩევა-დამტკიცება დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს: **1)** ზოგადი და გამოყენებითი, ასევე კონტრასტული ლინგვისტიკის კვლევების, ენათა ტიპოლოგიისა და უნივერსალიების, დიაქრონიული ენათმეცნიერების, ენათა კონტაქტებისა და არეალური ტიპოლოგიის, ენობრივი პროცესების მოდელირების, ლინგვისტური სემიოტიკისა და სოციოლინგვისტიკის

	თეორიული სამეცნიერო პრობლემატიკიდან (**სწავლის სფეროების მოქმედი კლასიფიკატორის დეტალური სფერო 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა**) დოქტორანტთა საკვალიფიკაციო ნაშრომისთვის კვლევითი მიმართულების შერჩევასა და დამტკიცებას უზრუნველყოფს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** (იხ. ს/ს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები); **2)** ლიტერატურათმცოდნეობის, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, სარედაქციო საქმის, ტექსტოლოგიის, ნარატოლოგიის, თარგმანმცოდნეობის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული სამეცნიერო პრობლემატიკიდან დოქტორანტთა საკვალიფიკაციო ნაშრომების კვლევითი მიმართულების შერჩევას და დამტკიცებას (**სწავლის სფეროების მოქმედი კლასიფიკატორის დეტალური სფერო 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა**) უზრუნველყოფს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** და **თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** (იხ. ს/ს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები); **3)** ძველი და ახალი ქართული ენებისა და ქართველური ენათმეცნიერების, ძველი და ახალი ქართული ენისა და დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, ბიბლიის ფილოლოგიის, ტექსტოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის, ლიტერატურული ურთიერთობებისა და თარგმანის კვლევების პრობლემატიკიდან (**სწავლის სფეროების მოქმედი კლასიფიკატორის დეტალური სფერო 0232.1.1 ქართული ფილოლოგია**) დოქტორანტთა საკვალიფიკაციო ნაშრომისთვის კვლევითი მიმართულების შერჩევასა და დამტკიცებას ახორციელებენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ქართული ენის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი (**ახალი ქართული ენის; ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრებით), **ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ფოლკლორისტიკის კათედრებით) (იხ. ამ ს/ს ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები); **4)** თუ დოქტორანტთა ლინგვისტური საკვალიფიკაციო ნაშრომებისთვის კვლევითი მიმართულება და სამეცნიერო პრობლემატიკა შეირჩევა • ევროპული (ინგლისური, გერმანული, რომანული, სკანდინავიური) ენების, • თანამედროვე და ძველი აღმოსავლური ენების (არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, არამეული, სომხური, აქადური, შუმერული,

	ხეთური), • კლასიკური და ახალბერძნული ენების, • სლავური ენების, • კავკასიური ენების ენობრივი მასალის, მათი ურთიერთშედარებისა და პარალელების საფუძველზე, ან დოქტორანტთა საკვალიფიკაციო ნაშრომებში ლიტერატურათმცოდნეობის, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორისტიკის, თარგმანმცოდნეობის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე განსახორციელებელი კვლევები, ლიტერატურათა ტიპოლოგიური მიმართებები, დაეფუძნება • ევროპული (ინგლისური, გერმანული, რომანული, სკანდინავიური) ლიტერატურების, • აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, არამეული, სომხური) ლიტერატურების, • კლასიკური და ბიზანტიური, ახალბერძნული ლიტერატურის, • სლავური ლიტერატურების, • კავკასიის ხალხთა ლიტერატურის ტექსტურ მასალას, მათ ურთიერთშედარებასა და პარალელებს, მაშინ საკვალიფიკაციო თემების შერჩევასა და დამტკიცებას უზრუნველყოფენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი** (ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის, რომანული ფილოლოგიის, თარგმანმცოდნეობის კათედრებით), **სკანდინავისტიკის ცენტრი**, **აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** (არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, ებრაისტიკა–არამეისტიკის, არმენოლოგიის, ასირიოლოგიის კათედრებით), **კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** (კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის, ნეოგრეცისტიკის კათედრებით), **სლავისტიკის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი, კავკასიოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** (პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით პროფილებში იხ. ამ ს/ს ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები); ფილოლოგიის დარგის კვლევითი სფეროებისა და მიმართულებების ამგვარი თავმოყრა და ურთიერთმიმართებები პროგრამაში უზრუნველყოფს იმას, რომ ქართველოლოგიური კვლევები არ გაიმიჯნოს ზოგადფილოლოგიური კვლევითი პრობლემატიკიდან, პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების კვლევითი თანამშრომლობით ხელი შეეწყოს ქართველური და უცხოური ენებისა და ლიტერატურების ტიპოლოგიურ-შედარებითი კვლევების განხორციელებას, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე წარმოჩინდეს თანამედროვე ქართული სამეცნიერო აზრის მიღწევები; ხელი შეეწყოს საქართველოში ფილოლოგიის მიმართულებით შესრულებულ კვლევათა ინტეგრაციას საერთაშორისო

	აკადემიურ წრეებში. დოქტორანტობის კანდიდატის – მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის – მიერ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე შემოსასვლელად სავალდებულო წინაპირობის დაკმაყოფილებასა და სწავლის ქვედა საფეხურზე ფილოლოგიის რომელიმე დარგში, ქვედარგში მიღებული დარგობრივი ცოდნა-უნარების დოკუმენტურად დადასტურებას (მინიჭებული კვალიფიკაცია), ამ განათლების შესატყვისობას შერჩეული საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატიკასა და კვლევით მიმართულებასთან, სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კვლევის ბაზად შერჩეული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის/კათედრისა თუ კვლევითი ცენტრის შესაბამისობას საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატიკასა და კვლევით მიმართულებასთან ამოწმებს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მსურველთა საბუთების მიღების პროცესში, აღნიშნული სამსახური დოქტორანტობის კანდიდატის მიერ შერჩეული საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატიკისა და კვლევითი მიმართულების, კვლევის ბაზად შერჩეული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის/კათედრისა თუ კვლევითი ცენტრის მიხედვით განსაზღვრავს ჩასაბარებელი უცხოური ენის დონეს. ტიპოლოგიურ-შედარებითი კვლევების სფეროდან შერჩეული საკვალიფიკაციო ნაშრომის შემთხვევაში დასაშვებია სამეცნიერო ხელმძღვანელების რეკომენდაცია შესაბამისი ორი (ან მეტი) სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტიდან. სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტის სასწავლო და კვლევით პროცესებს, მათში შემავალ პროცედურებს კორდინირებასა და კონსულტირებას უწევს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. *პროგრამის განმახორციელებელი ს/ს ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები:* **თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი** მიზნად ისახავს, ენათმეცნიერების, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებისთვის ფუნდამენტური დისციპლინის კვლევა და სწავლება დააყრდნოს ენათა გენეალოგიური, ტიპოლოგიური და არეალური ლინგვისტიკისთვის შემუშავებულ მეთოდოლოგიას; ენა გაიაზროს როგორც კოგნიტური, სოციალური და ისტორიული პროცესი; მისი ცვალებადობა ახსნას სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ცნებებით, უახლესი

	ლინგვისტური თეორიებით, კონცეფციებითა და მეთოდებით, რომლებიც, თავის მხრივ, მკვიდრ საფუძველს უქმნის ენის კვლევისა და სწავლების გამოყენებით ასპექტებს, როგორიცაა ენათა სოციოლინგვისტური მახასიათებლები და ენობრივი ტექნოლოგიები. თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორები მონაწილეობენ საინსტიტუტო, ადგილობრივ და საერთაერთაშორისო საგრანტო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ამ პროექტების ფარგლებში მზადდება და გამოიცემა სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები, რომლებიც გამოიყენება სწავლებისას. ინსტიტუტს აქვს რეგულარული სამეცნიერო გამოცემა „ენათმეცნიერების საკითხები", რომელშიც იბეჭდება როგორც ქართველი ისე უცხოელი ენათმეცნიერების ნაშრომები. **თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი** ორიენტირებულია მხატვრული ლიტერატურის, როგორც კულტურული ფენომენის ინტერდისციპლინურ კვლევებზე, თანამედროვე ფილოლოგიური მეთოდებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით. წამყვანი კვლევითი მიმართულებებია: ლიტერატურის თეორიისა და პოეტიკის პრობლემები, ლიტერატურული ტექსტის ანალიზი ფართო კულტურულ კონტექსტში შედარებით ანუ კომპარატივისტულ ჭრილში, რაც, ასევე, გულისხმობს ქართული მწერლობის დასაბუთებულ ჩართვას საერთო ლიტერატურულ პროცესში; მხატვრული ტექსტის სტრუქტურა, ლიტერატურული სკოლები და მიმდინარეობები, ლიტერატურული ჟანრები, მხატვრული სტილისა და სტილისტიკის, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმის საკითხები. ინსტიტუტის პროფესორები რეგულარულად ამუშავებენ არაერთ საინსტიტუტო და საგრანტო სამეცნიერო-კვლევით პროექტს; უკანასკნელ წლებში გამოცემულია 30-მდე სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და მონოგრაფია, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება სხვადასხვა საფეხურზე. კვლევის პროცესში ჩართულნი არიან დოქტორანტებიც, როგორც პროექტების მონაწილენი, მათი კომპეტენციის ფარგლებში. **თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** თავის მიზნებსა და ამოცანებს ხედავს, ერთი მხრივ, სტუდენტებში დარგისა და სამეცნიერო კვლევებისადმი ინტერესის გაღვივებაში და, მეორე მხრივ, ლიტერატურათა ურთიერთობების, ურთიერთმიმართებების, მათი ისტორიისა და განვითარების პერსპექტივების, ლიტერატურათა ურთიერთზემოქმედების, ურთიერთგავლენის კვლევაში, რაც გულისხმობს სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურას შორის განსხვავებებისა და მსგავსების შესწავლას, ლიტერატურულ მოვლენათა კანონზომიერებების წარმოჩენას, ლიტერატურული მოვლენების ტიპოლოგიური მიმართებების დადგენასა და კონტაქტური კავშირების კვლევას; ლიტერატურათა ეროვნული თავისებურებების, მათი სპეციფიკის ჩვენებას და ეროვნული ლიტერატურის მონაწილეობას მსოფლიო სალიტერატურო პროცესში და მისი ადგილის

	განსაზღვრას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ინსტიტუტი ამ პროცესებთან აქტიურ კავშირში შეისწავლის თარგმანს, როგორც კულტურათა და ლიტერატურათა დიალოგის უმნიშვნელოვანეს ფორმას. **ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის** მიზანია ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების, უმწერლობო ქართველური ენების (მეგრული, ლაზური, სვანური), ქართული ენის დიალექტების შესწავლა-კვლევა სტრუქტურულ-სემანტიკური, ფუნქციურ-სტილისტური თვალსაზრისით; ასევე, ძველი და საშუალი ქართული ენის წერილობითი ძეგლებისა და წყაროების დოკუმენტირება და კვლევა ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური და ლინგვისტური კუთხით; ლინგვისტური ექსპედიციების მოწყობა - მუშაობა ველზე უმწერლობო ქართველური ენების, ქართული ენის დიალექტური მასალის შესაკრებად; მოპოვებული სინქრონიული ვითარების ამსახველი ემპირიული მასალის დამუშავება და ჩართვა საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებში; შუა საუკუნეების ქართული თარგმანების (უპირატესად, ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული ვერსიების) ტექსტოლოგიური და ენობრივ-სტილისტური კუთხით კვლევა. ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების მიმართულებანი ინსტიტუტში შემავალი ერთეულების მიხედვით განისაზღვრება. ➢ *ახალი ქართული ენის კათედრის* კვლევითი მიმართულებებია: • თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა; • თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების საკითხები; • ქართული ენის სტილისტიკა; • ქართული ენის დიალექტები; • უმწერლობო ქართველური ენები: მეგრული, ლაზური, სვანური. ➢ *ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის* კვლევითი მიმართულებებია: • ძველი ქართული ენა; • ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები; • ქართული პალეოგრაფიისა და კოდიკოლოგიის საკითხები; • ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლები ტექსტოლოგიური და ლინგვისტურ-ფილოლოგიური თვალსაზრისით. ➢ *ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი* იკვლევს ქართული და სხვა უმწერლობო ქართველური ენების ონომასტიკას (ტოპონიმებს, ჰიდრონიმებს, ანთროპონიმებს და სხვ.); ➢ ძველ ქართულ ხელნაწერთა *შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ორიონი“* იკვლევს ძველ ქართულ ხელნაწერებს (უმთავრესად საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხელნაწერთსაცავებში დაცულ მანუსკრიპტებს) და გამოსაცემად ამზადებს მათ. **ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის** მიზანია ძველი,

	ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის, ასევე ზეპირსიტყვიერების კვლევა თანამედროვე ფილოლოგიური მეთოდების გამოყენებით. ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების მიმართულებანი განისაზღვრება მასში შემავალი ერთეულების მიხედვით: ➢ *ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის* კვლევითი მიმართულებებია: • ქართული ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის პრობლემატიკა; • ქართული საერო მწერლობის ძირითადი ტენდენციები; • რუსთველოლოგიის პრობლემატიკა; • მე-17-მე-18 საუკუნეების ლიტერატურული პროცესები, მათი მიმართება დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურებთან; • შუა საუკუნეების ქართული მწერლობის მნიშვნელობა ბიზანტიური მწერლობისთვის; • ქართველოლოგიური კვლევები უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში; • ბიბლიურ და სახისმეტყველებითი ასპექტები ქართული ლიტერატურის მიხედვით. ➢ *ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის* კვლევითი მიმართულებებია: • ქართული რომანტიზმის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებები და დასავლურ რომანტიზმთან მიმართება; • ქართული რეალიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხები დასავლური ლიტერატურის კონტექსტში; • მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურული ტენდენციების სიახლეები; • მე-19 საუკუნის ქართული სატირისა და იუმორის ისტორია; • მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნება. ➢ *უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის* კვლევითი მიმართულებებია: • *მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარე ქართული ლიტერატურული პროცესები;* • *მოდერნიზმის განვითარება ქართულ ლიტერატურაში;* • *ქართული ლიტერატურული სკოლები მე-20 საუკუნის დასაწყისში;* • *სოციალისტური რეალიზმის ასახვა ქართულ ლიტერატურაში;* • *მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლების ლიტერატურული პროცესების ძირითადი ტენდენციები;* • *პოსტმოდერნისტული და გლობალისტური ლიტერატურის პრობლემატიკა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.* ➢ *ფოლკლორისტიკის კათედრის* კვლევითი მიმართულებებია: • ფოლკორისტიკის ისტორიოგრაფიის საკითხები და კვლევის თანამედროვე ტენდენციები;

- ქართული ზღაპრის თავისებურებები აღმოსავლური და ევროპული თხრობითი ტრადიციების კონტექსტში;
- ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობები;
- კავკასიური ფოლკლორის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და ლიტერატურულ-ისტორიული ასპექტები;
- ქართული ფოლკლორის ჟანრების ურთიერთმიმართების საკითხები;
- ქართული ზეპირსიტყვიერი ტექსტების სტრუქტურული, სემანტიკური, მითოსური და მხატვრული ასპექტები;
- ზეპირსიტყვიერებისა და ლიტერატურული ტრადიციების ურთიერთმიმართებები.

ინსტიტუტის პროფესორთა ხელმძღვანელობითა თუ ჩართულობით მუშავდება არაერთი საგრანტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი; გამოცემულია სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. კვლევის პროცესში ჩართულნი არიან დოქტორანტებიც, როგორც პროექტების მონაწილენი.
ინსტიტუტის ბაზაზე დაარსებულია და რეგულარულად გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგი“ ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ პერიოდულად გამოიცემა ჟურნალი „ლიტერატურული კვლევები“.

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი მიზნად ისახავს, დასავლეთევროპული ენების (ინგლისური, გერმანული, რომანული ენები), ლიტერატურისა და თარგმანმცოდნეობის ტრადიციული და უახლესი სამეცნიერო პრობლემატიკის კვლევას.
ინსტიტუტის საკვლევი თემატიკაა: ენის სტრუქტურა (ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის მნიშვნელოვანი მომენტები); მნიშვნელობის თეორია ენაში (სემანტიკა, პრაგმატიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, დისკურსის ანალიზი, პარემიოლოგია და ფრაზეოლოგია); დასავლეთევროპული და ქართული ენების შეპირისპირებითი და ტიპოლოგიური კვლევა; ლინგვისტური სემიოტიკა, სოციოლინგვისტიკა, ენისა და კულტურის საკითხები, გამოყენებითი ლინგვისტიკა (ენის სწავლების თეორია), ენობრივი პროცესების მოდელირება და ლინგვისტური ინჟინერია და სხვ.
თარგმანმცოდნეობის მიმართულებით, კვლევები მიმდინარეობს შემდეგ თემატიკაზე: თარგმანის თეორიის თანამედროვე პრობლემები; თარგმანის თეორია, თარგმანის ლინგვისტიკა, თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი, თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები, თარგმანის ისტორია, თარგმანის კრიტიკა და სხვ.
დასავლეთევროპული ლიტერატურის მიმართულებით, ინსტიტუტი მუშაობს შემდეგ თემატიკაზე: ლიტერატურული მიმდინარეობები, ჟანრები და პოეტიკა;

ლიტერატურული პროცესების ტიპოლოგიური და შედარებითი ანალიზი; ინტერკულტურული ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემები, მხატვრული ლიტერატურის რეცეფცია; მედიევისტური და მოდერნისტული რომანის პრობლემატიკა; კომპარატივისტული ლიტერატურა; ლიტერატურა და მხატვრობა; ლიტერატურის ფსიქოანალიტიკური კვლევა; ლიტერატურული მითების კვლევა და სხვა.

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

აღმოსავლური ენების სწავლებასა და აღმოსავლეთმცოდნეობით კვლევებს საქართველოში იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენისაც თავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფცია და სტრატეგია განუყოფელია საუნივერსიტეტო სწავლების კონცეფციისა და სტრატეგიისგან.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიზანია, შეინარჩუნოს და გააძლიეროს ქართული ორიენტალისტიკური სამეცნიერო სკოლის ტრადიციები და განახორციელოს სწავლება და კვლევა როგორც საკუთრივ ორიენტალისტიკური, ისე ქართველოლოგიური მიმართულებით, რადგან საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის საკვლევი პრობლემატიკა ყოველთვის უშუალო და მჭიდრო კავშირში იყო ქართველოლოგიურ პრობლემატიკასთან და წარმოადგენდა და წარმოადგენს ქართველოლოგიური კვლევების სამეცნიერო ფუნდამენტის განმტკიცების საშუალებას.

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კვლევა-შესწავლის ძირითადი მიმართულება ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ორმხრივ ლიტერატურულ, ენობრივ, ისტორიულ, კულტურულ ურთიერთობებზეა აქცენტირებული, რაც განპირობებულია ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონთან მრავალსაუკუნოვანი კვეთებით, თუმცა, ბუნებრივია, ინსტიტუტის კვლევითი ინტერესები ამით არ ამოიწურება და აღმოსავლური ფილოლოგიის მიმართულებით *(არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, ებრაისტიკა–არამეისტიკის, არმენოლოგიის, ასირიოლოგიის* კათედრები) მოიცავს დარგის მრავალ ასპექტს, კერძოდ, ლინგვისტურ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) და ლექსიკოლოგიურ (სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ), დიალექტოლოგიისა და დიალექტების, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე აღმოსავლური პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის, პოეტიკისა და ვერსიფიკაციის საკითხებს, ყურანისა და ისლამოლოგიის, აგრეთვე ტექსტოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, წინა აზიის ძველი ენებისა და კულტურების პრობლემატიკას.

ეს მიმართულებები ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო სკოლის კვლევის ტრადიციული მიმართულებებია და მსოფლიო ორიენტალისტიკური ცენტრებისთვისაც საკმაოდ აქტუალური.

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის განსაკუთრებული ინტერესის სფეროა თარგმანი და აკადემიური

	მთარგმნელობითი საქმიანობა. გამოცემულია და გამოიცემა აღმოსავლური წყაროების კომენტირებული თარგმანები, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე აღმოსავლური ლიტერატურის შედევრების მაღალმხატვრული ქართული თარგმანები, ისწავლება და იკვლევა მთარგმნელობითი პრობლემატიკა. ინსტიტუტის ბაზაზე დაარსებულია და რეგულარულად გამოდის სამეცნიერო ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობა“. **კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი** აერთიანებს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის კათედრებს. თითოეული მათგანი პროფილის მიხედვით ანტიკური პერიოდის ბერძნული და ლათინური ენების, შუა საუკუნეების ბერძნულისა და ლათინურის, აგრეთვე თანამედროვე ბერძნული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის შესწავლას ემსახურება. ინსტიტუტის სპეციალიზებული ბიბლიოთეკა აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დარგობრივი საბიბლიოთეკო ცენტრია (ბიბლიოთეკაში დაცულია 30.000-ზე მეტი წიგნი). ინსტიტუტის სამივე კათედრა დიდ ყურადღებას უთმობს როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთობლივ სამეცნიერო პროექტებს, სამეცნიერო აპარატით აღჭურვილ თარგმანთა მომზადებას. სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომთა პუბლიკაციას ინსტიტუტში მოქმედი საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“ უზრუნველყოფს. ინსტიტუტში თითქმის ყოველ წელს ტარდება თემატური საერთაშორისო კონფერენციები. ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა საერთაშორისო რეფერირებადი წელიწდეული „ფაზისი“, რომელიც ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომებს აქვეყნებს. ინსტიტუტში რეგულარულად ხდება პროფესორ-მასწავლებელთა თუ დოქტორანთა საერთაშორისო მობილობა. სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებში მეცნიერული მუშაობის უნარ-ჩვევათა გამომუშავებისთვის ინსტიტუტში შემოღებულია სამეცნიერო პუბლიკაციებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ერთობლივ პროექტებში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა თანამშრომლობის პრაქტიკა. 2004 წლიდან ინსტიტუტი გამოსცემს სტუდენტთა წელიწდეულ „მნემოსინეს“. **კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის** უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის, მეცნიერული შესწავლა და კვლევის შედეგების დანერგვა-პოპულარიზაცია. ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კავკასიის რეგიონში არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, ლინგვოკულტუროლოგიური, ფოლკლორული და სხვა სახის მემკვიდრეობათა სათანადო ნიმუშების (არტეფაქტების), ლაპიდარულ-ეპიგრაფიკული წყაროების, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას; კავკასიაში შემონახული ქართველთა ინტელექტუალური, რელიგიური და ნივთიერი მემკვიდრეობის მოძიებას და აღრიცხვა-სისტემატიზაციას. დარგის სამეცნიერო-სასწავლო პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვასა და აღზრდას კავკასიოლოგიის სფეროში; დღიდან დაარსებისა, თსუ კავკასიურ ენათა კათედრის მიერ შემუშავებული სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების

	კონცეფცია განუყოფელ ნაწილად რჩებოდა ფილოლოგიური სწავლების ერთიანი საუნივერსიტეტო კონცეფცია-სტრატეგიისა. ტრადიცია ევოლუციის გზით დღესაც გრძელდება, ამიტომაც იბერიულ-კავკასიური ენებისა და მათი კილო-თქმების (დიასისტემების) შესწავლა, სამეცნიერო კვლევა-ძიება გენეტიკური, არეალური, ტიპოლოგიური, სტრუქტურულ-სემანტიკური და ისტორიულ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ინსტიტუტისთვის უცვლელი სფეროებია. ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების მიმართულებანი თანამედროვე კავკასიოლოგიის აქტუალური სამეცნიერო პრობლემატიკის სიღრმისეული შესწავლით განისაზღვრება. ინსტიტუტის მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა გუნდის წევრები იკვლევენ: • იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ოთხივე ჯგუფის ძირითად ლინგვისტურ ქვესისტემებს; • იკე-თა ფონოლოგია-ფონეტიკის და გრამატიკის ძირითად საკითხებს; • კავკასიური ეთნოლინგვისტიკის პრობლემურ საკითხებს; • კავკასიის ხალხების კულტურულ მემკვიდრეობას ანთროპოლოგიური კუთხით; • იბერიულ-კავკასიური და წინა აზიის ძველი ენებისა და კულტურების არეალურ-გენეტიკური ურთიერთმიმართების პრობლემატიკას. დასახელებული სფეროები თბილისის კავკასიოლოგიური სამეცნიერო სკოლის კვლევის ტრადიციული მიმართულებებია, რომლებიც თანამედროვე კავკასიის შემსწავლელი საზღვარგარეთული ცენტრებისთვისაც საკმაოდ აქტუალური ჩანს. ინსტიტუტი დასახული მიზნების განსახორციელებლად ამყარებს საერთაშორისო კავშირებს პროფილური და მომიჯნავე დარგის სამეცნიერო ცენტრებთან, აორგანიზებს და მონაწილეობს თემატურ კონფერენციებში, კონგრესებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, კონკურსებში, აგრეთვე სხვადასხვა საინფორმაციო და სამეცნიერო ღონისძიებებში; აქვეყნებს სამეცნიერო შრომებს, გამოსცემს სამეცნიერო-პოპულარულ კრებულებს, მონოგრაფიებს, სინოფსისებს, სტატიებს; ქმნის კომპიუტერულ მონაცემთა ბაზებს; შესაძლებლობის ფარგლებში, აწყობს კავკასიის მასშტაბით სამეცნიერო ექსპედიციებს. **სკანდინავისტიკის ცენტრის** საუნივერსიტეტო სწავლების სხვადასხვა საფეხურზე სკანდინავისტიკის დარგში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. ჩრდილოეთ ევროპის ხალხთა ენებისა და ლიტერატურის სწავლება-კვლევა, სკანდინავიის, როგორც ერთიანი რეგიონის, შესწავლა, ჩრდილოეთ ევროპის ხალხთა ენების, კულტურის, ლიტერატურებისა და თარგმანმცოდნეობის ტრადიციული და უახლესი სამეცნიერო პრობლემატიკის კვლევა. საქართველოსა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს შორის კულტურული და აკადემიური ხასიათის ურთიერთობებისათვის ხელშეწყობა. სამეცნიერო კვლევების მიმართულება: ლიტერატურული პროცესები

	საქართველოსა და სკანდინავიაში, ნორვეგიული, შვედური და, ზოგადად, სკანდინავიის ხალხთა ლიტერატურების ისტორიის სხვადასხვა ასპექტი, თანამედროვე სკანდინავიური ლიტერატურის კომპარატივისტული კვლევა, რეგიონის ენებისა და კულტურის საკითხები, ლიტერატურული პროცესები საქართველოსა და სკანდინავიაში, ამ პროცესების ტიპოლოგიური და შედარებითი ანალიზი; ლიტერატურული ურთიერთობები ორ რეგიონს შორის და ლიტერატურის როლი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესებში; თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი, თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები, თარგმანის კრიტიკა, ინტერკულტურული ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემები, მხატვრული ლიტერატურის რეცეფცია, და სხვ. ეს მიმართულებები აქტუალურია არამარტო თსუ-ს სკანდინავისტიკის ცენტრისთვის არამედ ბევრი მათგანი ჩრდილოეთ ევროპის შემსწავლელი წამყვანი საზღვარგარეთული ცენტრებისა და ინსტიტუტების კვლევით პრობლემატიკასაც წარმოადგენს. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის განსაკუთრებით ძლიერი მხარეა ბილინგვური საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალები („სპეკალი“, „სჯანი“), რომლებიც დოქტორანტთა პუბლიკაციებისთვის ძლიერი მხარდამჭერი ბაზაა; რეგულარული საფაკულტეტო კონფერენცია, რომელიც ასევე აძლევს დოქტორანტებს საკუთარი კვლევის შედეგების აკადემიური საზოგადოების წინაშე პრეზენტაციის საშუალებას; დოქტორანტებისა და ახალგაზრდა ჰუმანიტართა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც დოქტორანტთა სამეცნიერო მიგნებების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო აკადემიური კონტაქტების დამყარების კარგი საშუალებაა, ასევე პროგრამაში ჩართული ყველა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საერთაშორისო ინსტიტუციური კონტაქტები და აკადემიური კავშირები, რაც დოქტორანტთათვის დიდი სტიმული და მხარდაჭერაა საერთაშორისო პროექტებსა და აკადემიურ ღონისძიებებში ჩართულობისათვის.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი